ᲙᲘᲠᲘᲚᲐ, 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲞ.

14096

მეთრამბი
და სალამური

№ 18

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ᲔᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲓᲘᲡ!

ერობა მოდის, სოფელო,
ხელ-ჩაკიდული ძმურათა;
მოდის და მოუხარიან,
აწ ჭირი გიჩანს ნურათა.
აგიყვავებენ მინდორ-ველს,
ზურმუხტით ნაქარგ მდელოსა,
ერთი თვის შემდეგ ვერც იცნობ
ჩვენს ბედშავ საქართველოსა.
პური ას თავ-თავს დაისხამს,
სიმინდიც ას-ას ტაროსა,
ლობიო მოგვცემს ულეველ
ცხოვრების ჩვენის წყაროსა.
ზვარი დაისხამს, ყოველ-წლივ
ღვინო ზღვათ მოგვედინება,
ხუხეთ და ხუხეთ ყანწებით
ვიდრემდის მოგეწყინება!
ხრიოკებს ბაღი შემოსავს
ნაყოფით დაქანცულები,
ტყე აიყრება, არ მოხვდეს
მას მენახშირის ცულები.
ხარ კამეჩობა იმრავლებს,
იმრავლებს წვრილი რქოსანი,
(მწერლებიც გაგვიმრავლდება
ბელეტრისტნი და მგოსანი)
ყოველგან სკოლებს დახსნიან
ყმაწვილთა აღსაზრდელათა,
(სამი წლის ვინც კი გახდება
თავს შიგ უკრავენ ხელათა!)
სულყველა სოფელს ექნება
საავათმყოფო სახლები,
წიგნთსაცავები, თეატრი
ცხოვრების განმაახლები.
რკინისა გზები, კონკები
გექნება გაწყობილები,
ურემზე ხრაგუნს ის არ ჯობს
სწრაფი, საჯდომათ რბილები?
მაშ გაიხარეთ სოფელო,
ცხოვრებით უკეთესითა,
მოდის **ᲔᲠᲝᲑᲐ ᲜᲐᲠᲩᲔᲕᲘ**

სამი ივნისის წესითა

მოდის და მოუხარია,
სამ სართულ ანაყუდებსა,
ქვეშამ თქვას, თორემ ზედანი
ჭერს მიახლიან ქუდებსა.
მოდიან მოუხარიათ
გულ-ღია დახვდი სოფელო,
იქნებ გაგიშრეს კურცხალი
მუდამ ცრემლ შეუშრობელო.

—კი.

ეშმაკის ინტერვიუ

(ქუთაისში. ტელემაკ გურიელთან)

გამოფენამ გამიტყუილა! ქუთაისის გამოფენა! ეს უბრალო „კაფე შანტანი“ არ გეგონოთ! აქ ათასნაირ საკვირველებას ნახავ და ათას საოცრებას გაიგონებ!

ჩემი ყურადღება ბ-ნმა ტელემაკ გურიელმა მიიქცია. მართალია მე მარტო მის სანახავად არ ჩავსულვარ, მაგრამ ბედნიერი შემთხვევა მასთან შეხვედრისა არ შემეძლო უყურადღებოთ, თუ უსარგებლოთ დამეტოვებია.

პატარა წინასიტყვაობა.

ტელემაკ გურიელი, როგორც ამას სახელი და გვარი გვიჩვენებს, ნაშთია გურიის მბრძანებელთა. მაგრამ ჩვენთვის ამ მხრივ არ არის საყურადღებო მისი გაცნობა. ტელემაკს იცნობს მთელი გურია, როგორც დალაგებით მოლაპარაკეს, ღრმათ განსწავლილს და გურულების საუკეთესო მცოდნე ადამიანს. ასეთი კაცის შეხვედრა ყველამ სასარგებლოთ უნდა გამოიყენოს და მეც ასე მოვიქეცი.

— გამარჯობა კაი თქვენი! მოვახსენე მოწიწებით.

უნდა გახსოვდეთ, რომ მათი ბრწყინვალების სიმპატიასა და სიყვარულს ყველაზე უფრო უსიტყვო მორჩილებით და უზომო თავაზიანობით დაიმსახურებთ.

— ღმერთმა გაგიმარჯოს. რავაა ბატონო რაღაცა არ მეცნობით...

— მე, ბატონო, ეშმაკი გახლავარ.

— ვაიმე დედავ და, რატომ დროზე არ მითხარი მერე? ვაააბ!.. ვაააბ!

— ცოტა მინდა შევაწუხო თქვენი ბრწყინვალება.

— დედააავ! რამდენიც გენებოსთ, რამდენიც **გენებოსთ. ვاااااب!**

— მე მინდა, თქვენი აზრი გავიგო განვლილ მოძრაობის შესახებ.

— ტა... ტა... ტა... ტა... ტა... ტა... ტა... ტაااა. ვაიმე დედა!..

— განა რა მოხდა? გამიგია, თქვენ კარგათ იცით გურულების ვითარება და მათი მომზადება, მათი შეგნება.

— ვاااب, ვاااااب! ყაძახის შეგნება! დედა, დედა!..

— დიახ გლეხ-კაცების.

— პაჰ... პაჰ... პაჰ... პაჰ! ყმაწვილო, ვინ გაიგონა ყაძახის შეგნება, ვინ გაიგონა მისი სიკეთე. ვاااب, ვاااب!

— მაშ თქვენც კოწია თუმანიშვილის აზრისა ხართ, არა?

— დედავ! აბა რა ვიცი რა აზრისა არის ეგ ყაძახი, მარა ჩვენებურებს ვიცნობ. პაჰ! ვიცნობ და ეგრეჰ!

— მაშ ერთობის დრო თქვენი აზრით უკუ სვლა იყო, არა?

— დედავ! რა იყო, რა იყო იგი! პაჰ, პაჰ, პაჰ! მოდის ყაძახი და მიჩივა: ,,აფხანიკოვო!'' დედავ, წავხთი, ვინ არის მისი აფხანაკი!

— ვითომ რატომ ბატონო?

— დედა .. დედა! რავა რატომ? ყაძახს მოხარჩული ხორცი მის დღეში არ უჭამია, ყორისფელს უმათ სთქვლეფს, ძღარბს ქაცვებიანათ ყლაპავს და მე მეუბნება „აფხანაკოო“. დედავ, დედავ! ბااატონებო, ყაძახი ყაძახია! მისი მორჯულება არაფერს არ შეუძლია.

— რატომ, რისთვის?

— დედااავ! რისთვის და იმიტომ, რომ ძღარბებს ქაცვებიანათ ყლაპავს, ხორცს უმად თქვლეფს. პაჰ, პაჰ, პაჰ! მოდის და „დემოკრატიული რესპუბლიკა მინდაო“. დედავ! კი გინდა, მარა ძღარბებს რომ ყლაპავ? ვاااب! ვاااب!

— მაშ ფრანგებმა როგორ მოიპოეს რესპუბლიკა? ისინი ხომ ბაყაყებს სჭამენ?

— დედავ! ბატონებო, იქ ხალხი ვარსკვლავებზე ადის, იქ მზეს ხელით წვდება, მთვარეს კოცნის. მااااშ! აქ ამდგარა ყაძახი და „დემოკრატიული რესპუბლიკაო“ ბღავის.

— ბ-ნო, როგორც გამიგონია, ჩვენებური გლეხები ზღარბს არა სჭამენ.....

— დედა... დედა .. დედა!!! კი არა სჭამენ, სთქვლეფენ. მااშ! იქ ხალხი ეკლიპტიკას სჭამს, ეკვატორს შეექცევა ვარსკლავებზე ადის... აბااااჰ!

ძლიერ ურწმუნო კაცი ვარ! ბრწყინვალე თავადის საგულისხმიერო მსჯელობა თუმცა მესმოდა, მაგრამ არა მჯეროდა. ზღარბების პატივისცემა ჩვენს ხალხს ღრმადა აქვს შეთვისებული იაკობ გოგებაშვილის მეოხებით და არა მჯერა ასე უდიერათ მოეპყრან პატივცემულ ცხოველს.

— ნება მიბოძეთ გამოგეთხოვოთ ბატონო, დიდათ მასიამოვნეთ თქვენი ღრმაგონიერებით, მდაბლათ მოვახსენე თავადს და როცა ახლოს დავაცქერდი, მხოლოდ მაშინ მიეხვდი, თუ რად ახსენებდა ასე ხშირად ქაცვიან ზღარბებს.

— დედავ! ბატონო და აქ სამადლობელი რა იყო; მე მზათ ვარ დაგეხმაროთ.. აბააჰ! მე ჩვენებურ ყა...

ბოლო სიტყვები დაიკარგა მკითხველისათვის.

ეშმაკი.



დეპეშები.

(უცხოეთის საგენტო.)

პარიზი ბურცევმა კვალად აუშვა ერთი საფრენი, რომელზედაც ორი ახალი პროვოკატორი დასვა. ამბობენ მსოფლიო პრიზს ესენი აიღებენო.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ინგლისს, გერმანიას და შეერთებულ შტატებს: სამხედრო გემები თუ გეპირიათ ჩვენს ქარხნებს შემოუკვეთეთო.

ვაშინგტონი. ამერიკელი კაპიტალისტები ჩრდილოეთ პოლიუსზე სასტუმროს აგებას აპირობენ.

სან-დომინგო. იფეთქა.

რომი. ერთი დღის განმავლობაში მიწა შვიდასჯერ იძრა. შიში აქვთ დუბროვინი არ იყოს ჩამოსულიო.

თეირანი. სპარსეთის მთავრობას განზრახვა აქვს გერმანიასა და საფრანგეთს შვა რკინის გზები გაიყვანოს.

პეკინი. ჩინეთის მთავრობა სთხოვს რუსეთისას: ჩინეთის თავისუფალ ადგილებზე რუსეთმა ყაზახ-რუსები დაასახლოს კულტურის შესატანათ.

ვარდნი არ სჩანან!..

—

ვარდნი ყვაოდენ... ბაღი მიყვარდა,
რადგან იმ ბაღში მეც შევდიოდი:
გრძნობით ვუმზერდი იმედის ყვავილთ,
ჩემს მავბედზედა აღარ ვჩიოდი.

ნაკადულთ რაკრაკს, ფრთოსანთ მაყრიონს
ჩემი სიმღერაც უერთდებოდა...
შორით ისმოდა რაღაც ღრიალი:
ეგ, მთის ღრანტეში, მხეცი კვდებოდა!..

სიკვდილს-სიცოცხლე შებრძოლებოდა...
ტყე კვნესდა: „მწარეთ, მთა ზანზარებდა,
ზღვას ჯანყი ეკრა... დენიდა ღრუბელთ,
მაგრამ ცა იმათ არ იკარებდა.

ცა კრიალებდა... მის ლურჯ ტატნობზე
მზე დიდებული დასეირნობდა
და მის ქვეშეთში ჩაგრულთა შორის
უიმედობას ბრავინ გრძნობდა...

უცბათ იელვა!.. დაეცა მეხი...
შორს სტიქიონმა დაიქვითინა...
და ცისა ტატნობს ბლოვის ემბლემა,
შავი სუდარა გადაეფინა.

დაეცა სეტყვა შხუილ-ქუხილით...
დასუსხა ბაღი, ყვავილოვანი,
ნარგავ-ნათესი მიწას გაეკრა,
გაისმა ირგვლივ კვნესა, ბლოვანი...

...მე კვლავ ბაღში ვარ... ირგვლივ-პარტახი!
ზეცა უაზროთ გადმომცქერია...
ვარდნი არ სჩანან!... მათ დამზრალ ჯაგებს
საწყლად ქაცვები გაუღერია!..

ნ. ზომლეთელი

კრტიკოსთან.

ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

გამოსვლა X.

(შემოდის მეექვსე)

მეექვსე. (ოვგს უკრავს კრებიდანვე) ბუიღლიშვილი.

კრიტ. ოქროსცვარაქე, გთხოვთ!

მეექ. (ჯდება).

კრიტ. რით შემიძლიან გემსახუროთ?

მეექ. მე ვარ ახალგაზრდა დრამატურგი...

კრიტ. მშვიდობა სახელსა თქვენსა.

მეექ. მოითმინეთ, ნუ მაწყვეტინებთ! ჰო და ასე—მე ვარ ახალგაზრდა დრამატურგი, დაუძინებელი მტერი პროგრესისა და კულტურისა. დავსწერე დრამა.

კრიტ. იდეა მისი?

მეექ. პარადოქსია, თავიდან ბოლომდე პარადოქსია. არ იფიქროთ, საზოგადოებამ ჩემგან რაიმე

ძველი და გადაკოხნილი მოისმინოს. უკაცრავად! ის დრო წავიდა. საჭიროა ახალი სიტყვა.

კრიტ. და ამ ახალ სიტყვას გვეტყვით თქვენ, განა?

მეექ. დიაღ-ს. ძირს წერეთელი-მერეთელი, ცაგარელი, გუნია, ერისთავი et tutti-quanti.

კრიტ. (განზე) ესეც ერთი შიპლიპუტი! (იმას) პიესის დედა-აზრი?

მეექ. მოითმინეთ! თქვენ ამტკიცებთ წინ მივდივართო, მე გეუბნებით უკან მეთქი. თქვენ ათაყვანებთ ბრბოს, მე კი ძლიერ პიროვნებას, თქვენ ეტრფით სამშობლოს, კაცობრიობას, მე კი ერთიცა და მეორეც ჭირივითა მძულს. სოციალისტებო, გზა, ქართველი ნიცშე მოდის!

კრიტ. ხა, ხა, ხა! ნუ აჩქარდებით, ნელა, დინჯათ...

მეექ. ნუ იცინით ღვთის გულისათვის. თუ კრიტიკოსი ხარ, იქონიე შესაფერი სიდინჯე.

კრიტ. უკაცრავათ. არ ვიცოდი თუ გეწყინებოდათ.

მეექ. ნურას უკაცრავად, უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ჩემთან მობაასე იცინის, ასე მგონია მე დამცინის მეთქი.

კრიტ. აბა, ეგ როგორ გეკადრებათ. (ბაბირაზს უნდა მოუკიდოს).

მეექ. (ეტემა და თავისას მიაწოდებს) გთხოვთ! საკუთრივ თქვენთვის შეუკვეთე.

კრიტ. გმადლობთ! (ჩამოართმევს და ეწევიან ორივენი) განაგრძეთ!

მეექ. გამირკვიეთ მწარე საკითხი, სული ნუ წაგიწყდებათ.

კრიტ. მაგალითად?

მეექ. რის მაქნისია აი თუნდ რკინის გზა, ტელეფონი და ტელეგრაფი.

კრიტ. ბიჭოს, ბიჭოს! თქვენ ფრთხილად, თორემ თუ გაიგეს თქვენი ვინაობა, აიღებენ და ცოცხლათვე ჩაგსვამენ საისტორიო მუზეუმში.

მეექ. ბატონო, სიტყვა ბანზე ნუ ამიგდე. ჩემზე ადრე შეიძლება თქვენ ჩაგსვან. რა საჭიროა ეს იმერული აბრუნდი-ჩაბრუნდი, მიპასუხეთ კითხვაზე, მორჩა და გათავდა.

კრიტ. (განზე) ნეტა რა ვუპასუხო ასეთ აშკარა ჭეშმარიტებაზე! (მას) რახან არ დაგიშლიათ, ინებეთ. მაგალითისათვის ავიღოთ რკინის გზა და ტელეგრაფი. ვთქვათ, თქვენი სატრფო ბაქოში მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ტელეგრაფის შემწეობით ერთ საათში აქ იგებთ საქმის ვითარებას. რკინის გზის შემწეობით მეორე დილით იქა ხართ. განა ეს ცუდია?

მეექ. ძალიან ცუდია. ის რომ კაი სულიერი ყოფილიყო, ჩემთან იქნებოდა. ხა, ხა, ხა. ვერაფერი არგუმენტია თქვენმა მზემ. ხა, ხა, ხა! აი, ზეგ მართლა ბაქოში მივდივარ, რკინის გზა რომ არ ყოფილიყო, ამ ერთი თვის წინეთ ფეხით წავიდოდი, ჯანზედ დავდგებოდი, მადაც მომიყიდოდა და ბუნების სიდიადესაც ახლო გავეცნობოდი. დასწყევლოს ღმერთმა. შვეიცარიაში მუშები ბუნტობენ, მეორე დღეს აქ გადადიან მალაყებს. სანამ ეს ექიმები და დანტისტები არ შემოიღეს, სად იყო ამდენი ჭირი, ან ამდენი კბილის ტკივილი? თვე ნახევარი დავდივარ და დღეს მეუბნება, ორი თვე კიდევ უნდა იაროვო. ეს ვოდოპროვოდიო, ეს კანალიზაცია, ეს დეზინფექცია, ასსენიზაცია, ორტოდოქსია, დიქცია, ვივსეკცია, ბურჟუაზია, ექსპლოატაცია, დიფფერენციაცია, ეს კატლეტიო, ეს ბიფშტეკსიო, ეს შამპანიურიო, ეს ლაღიძის წყლებიო.

კრიტ. ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

მეექ. ერთი ეს მითხარით თუ ძმა ხართ, რა არის სიმდიდრე და სიღარიბე?

კრიტ. ნაყოფი კერძო საკუთრებისა.

მეექ. ხა, ხა, ხა! კაცო, ყველას რომ ეს აკერია ენაზე. ხა, ხა, ხა! ნუ მომკალი გეთაყვა სიცილით, ნუ მომკალი—(კვდება სიცილით) დალახვროს ღმერთმა, საიდან გამოჩეკეს ეს ბედკრული კერძო საკუთრება? ხა, ხა, ხა. უამისოდ რა ეშველებოდათ ამ საწყლებსა? ხა, ხა, ხა, ხა. (კვდება სიცილით) მაგათი აზრით ქათამმა რომ კვერცხი დასდოს, ან ვირმა დაიყროყინოს, ან ცხენმა დაიჭიხვინოს, ყველაფერი კერძო საკუთრების ბრალია. ხა, ხა, ხა, ხა!

კრიტ. თქვენ ჯერ არაფერი წაგიკითხავთ?

მეექ. (განზე) ერიჰა! ამას ხომ არ უშუქუნებენ? დალოცვილო! რომ არ წამეკითხა, არც ამდენი მეცოდინებოდა. მართალია დიპლომი არ მიმიღია, მაგრამ თანდაყოლილი ჭკუით, ნიჭით და განვითარებით ბეჭები ხართ და მომიდგებით? ამას წინეთ, ერთ ოჯახში კამათის დროს, იმ ჩვენ კუდაბზიკა სტუდენტებს კუდით ქვა ვასროლინე. ვერ დავფარავ თქვენს წინაშე, რომ მე დიდათ ნიჭიერი კაცი ვარ, და თუ ღმერთმა დღეგრძელ მყო, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ.

კრიტ. ღმერთმა ქნას. გისურვებთ წარმატებას.

მეექ. თქვენ უნდა ჩემი მემუარები ნახოთ, ტოლსტოისთან მიწერ-მოწერა მაქვს, ამ დღეებში უნდა ვეახლო ბებრუცუნას იქ, „იასნაია პოლიანაში". ერთ რასმეში არ ვეთანხმები და მინდა, პირადათ ველაპარაკო. მაშ რა გეგონათ, ა? ჩემზე ჭორებს ავრცელებენ, თითქოს მე უპრინციპო კაცი

ვიყო, მაგრამ სულ ტყუილია. საოცარია, აგერ 30 წლის კაცი ვარ და ჩვენში ჯერაც არ იციან, თუ რა მიმართულებისა ვარ. ყველა თავისად მთვლის მაშინ, როცა არავისიც არა ვარ.

კრიტ. მეც ასე მგონია.

მეექ. დიაღ! დღესაც ყოველგვარ მიმართულებათა და რწმენის გარეშე ვდგევარ. ჩემი პოეტური აღმაფრენა და მოუსვენარი სული პარტიულ ვიწრო ფარგლებში ვერ მოთავსდება. ძირს დოგმა, ძირს დემაგოგობა. ჩემი ერთ ადგილზე მიმაგრება ვერა სულიერმა ვერ შესძლო. მუდმივი რყევა, მუდმივი ობლობა სულისა, აი ჩემი ხვედრი. (**მტირე ბაუზა. უტებ ბიესს ამოიღებს უბიდგან და კრიტიკოსს**) ჩაიბარებთ?

კრიტ. კარგი, დასტოვეთ, თუმცა...

მეექ. უმჯობესი იყო, უკან რომ წამეღო, განა?

კრიტ. დიაღ.

მეექ. რატომ?

კრიტ. იმიტომ, რომ დაგვიანებულია. თქვენ აზრებს ათი საუკუნის წინეთაც არ ექნებოდა გასავალი, არათუ ჩვენ დროში. მიუხედავათ თქვენი ქადაგებისა ჩვენი კაცობრიობა ღვთის შეწევნით მაინც წინ წავა. დაგვიანებულია, დაგვიანებული.

მეექ. კარგი... რახან ასეა, უკან წავიღებ. სჩანს შუბლზე მაწერია მარტოობა სულისა (**ინახავს ბიესს**).

კრიტ. გეთანხმებით სრულიად. თქვენ აზრებს ჩვენს დროში გიჟის მეტი არავინ გაიზიარებს.

მეექ. (**განზე**) რა უნდა ელაპარაკო ამისთანა მუტრუკს. იცის კი, ხურმა რა ხილია? გაუდრიგინებია ეს მუნიანი თავი და კრიტიკოსი ვარო გაიძახის (**უეცრივ**) მშვიდობით! ერთხელაც იქნება, ჩვენ ქუჩაზედაც გამოიდარებს და მაშინ კი берегись критикъ,-скотина! (**გაყვრდება**).

გამოსვლა XI.

(**გამოდის ქეთო**)

ქეთო. გიგო! რა ამბავია? ვინა ჰყვიროდა?

კრიტ. რაღა რა ამბავია ქალო, დათიკოს გიჟები გაჰქცევია და ლამის მეც გამაგიჟონ. წადი ილოცე, ილოცე! კარები მაგრა ჩაჰკეტე. ჩემთან ნუ გეშინიან. ძალაქია მზად იყოს. ხა, ხა, ხა, ხა!

ქეთო. (**მხრებს შეაშუშნის და კადის**).

გამოსვლა XII

(**შემოდის ქაჯი პეტრე**)

მეშვიდე სალამი შენდა კრიტიკოსო ივერიიდგან.

კრიტ. გაგიმარჯოთ!

მეშ. მე გახლავართ ქაჯი პეტრე.

კრიტ. გთხოვთ! (**განზე**) ამაღამ სულ ქაჯები მოდიან ჩემთან.

მეშ. (**ჯდება.**)

კრიტ. რას მეტყვით?

მეშ. გაუფურჩქნავი ყვავილი ქართული პოეზიისა მოითხოვს თქვენგან პროტეკციას.

კრიტ. ჯერ გაიფურჩქნოს და მერე უპროტეკციოდაც გაიკვლევს გზას.

მეშ. შემცდარი აზრია! ასეთი უმაგალითო ამბავი ჯერ არსად არ მომხდარა, მით უმეტეს, ჩვენს უძაღლო ქვეყანაში, საცა ვირს ბულბულიდან ვერ არჩევენ.

კრიტ. (**განზე**) რა ეშველება ამდენ გადარეულს? (**იმას**) რახან აგრეა, შეგიძლიანთ მიბრძანდეთ. მეც ხომ ჩემი ქვეყნის შვილი ვარ.

მეშ. დიაღ შვილი, მაგრამ შვილი იშვიათი განწავლილი.

კრიტ. კარგი ერთი. ნუ ახირდებით. სხვა?

მეშ. დავსწერე პიესა.

კრიტ. მიბოძეთ.

მეშ. ამ საათში. (**კადის და დიდის გაჭიერებით შემოაქვს ერთი უდიანი, უზარმაზარი წიგნი. დადებს ტახტზე და მოუჯდება გვერდით, თითქოს ეშინიან, არავინ არ წაართვასო**).

კრიტ. (**გოცდება**) ეს რა ამბავია? აკი თქვენა ბრძანეთ ერთიაო.

მეშ. ერთია მაშ!

კრიტ. ღმერთო ნუ შემშლი.

მეშ. რა იყო, რა ეშმაკი გეცათ?

კრიტ. როგორ თუ რა იყო, დალოცვილო, აქ ერთი კი არა 60 პიესა გამოვა.

მეშ. ბიჭობაც ისაა, რომ ერთ პიესაში გამოხატო ყოველივე მოკლეთ და სხარტულათ.

კრიტ. (**განზე**) ისემც ღმერთი შენ აგაშენებს, რაც ეს მოკლე და სხარტული იყოს. (**იმას**) რამდენი მოქმედებაა?

მეშ. 35 და 48 სურათი. ამის წამკითხველმა ესპერანტოს ენაც უნდა იცოდეს. 491 მომქმედი პირია. მათ შორის 119 დედაკაცია, 37 ბავშვი, 29 ქალწული, დანარჩენი მამაკაცები. საჭიროა 108 ხმალ-ხანჯალი, 271 სერთუკი, 125 ქულაჯა. ეს არის დრამა, ტრაგედია, კომედია, შინაარსით იგი სოციალ-რეალურ-სიმბოლისტურია. აქ არის კლასთა ბრძოლა, კომმუნა, მონობა, ბატონ-ყმობა, ფეოდალიზმი, იდეალიზმი, ფედერალიზმი, სოციალიზმი, ასტრონომია, თეოლოგია, ფილოსოფია და სინდეს-მოლოგია чертъ Васъ побери (**მივარდება და მაგდას დაჭერავს ხელს, უველაფერი ზანზარებს**).

კრიტ. ნელა ბატონო, ნელა. ალექსანდრე მა-

კედონელი მართალია დიდებული კაცი იყო, მაგრამ ჩემი მაგიდის რა ბრალია? არც მაგეთი დაფეთება ვარგა.

კრიტ. ერთი ეს მითხარით, სად უნდა წარმოვადგინოთ თქვენი პიესა?

მეშ. სადა? აი ბატონო, საბურთალოზე. თავიდანვე ვიცოდი, რომ მაგის დადგმა არა თეატრში არ შეიძლება, მაგრამ ეს მაგრე რიგათ არ მაღონებს. ყოველ შემთხვევაში საბურთალოს მიდამო ჩვენ ხელთ არ არის? ჯერ რა თქმა უნდა გეოცებათ, მაგრამ იმედია, თანდათან შეეჩვევით. რას იზამ. მხატვარი თავისუფალია და ვითარცა შემ**ო**მქმედი, კანონებსაც თითონა ჭქმნის უბრალო მომაკვდავთათვის. პიესაში ზოგი ცოფდება, ზოგი ჭლექდება, ზოგიც გიჟდება, დაბოლოს კი ყველანი კვდებიან. საშინელებაა და თანაც გრანდიოზული ის სცენა, საცა მკვდრები ძნასავით არიან მიყრილნი ერთიმეორეზედ. ბნელა. სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს არე-მარე. სიკვდილი შავს წამოსასხამში, გაპრიალებული ცელით თიბავს და ანადგურებს არე-მარეს და ჯოჯოხეთური სიცილ-ხარხარით ქვეყანას აყრუებს. ხა, ხა. ხა! მე დარწმუნებული ვარ, ქალებს ყველას ისტერიკა მოუვა, ზოგი მათგანი შეიძლება კიდეც გათავდეს, მაგრამ ეს არაფერია. როცა ტყე იჩეხება, ნაფოტები სცვივიან.

კრიტ. თქვენ წაგიკითხავთ რუსთა და ევროპიელ დრამატურგთა ნაწარმოებნი?

მეშ. წამიკითხავს.

კრიტ. მაგალითად?

მეშ. როშელი ერთი გითხრათ?

კრიტ. აი თუნდ-ჰაუპტმანი.

მეშ. წამიკითხავს.

კრიტ. მოგწონთ?

მეშ. მაგდენი არაფრად.

კრიტ. მეტერლინკი?

მეშ. უნიჭო და სულელია.

კრიტ. იბსენი? ჰო, არა უშავს-რა.

მეშ. შექსპირი?

მეშ. ეგ კი სულ სხვა კითხვაა. აი ვინ ეხმატკბილება ჩემს მუზას, ეჰ რა დროს შექსპირია. ქვეყანა იქცევა! ყველაფერი წამიკითხავს, რაც დაწერილა, მაგრამ ახალი რამ კი ვერავინ მითხრა. ეჰ ძმაო, ამ წუთისოფელში ყოველივე უაზრობაა და უაზროთაც თავდება. პირი გამიშრა, ჩაი არა გაქვთ? აჰა! (სტაცებს ხელს მის ჭიქას და ნახევარს გამოცლის ლუდებს წინ) ეს ნახევარი კი შენ. არა უშავსრა, ერთობაა. ძმები ვართ—მოვრიგდებით. მაშ ნახვამდის. აბა შენ იცი, როგორი ჭკუით იქნები (აკოცებს მაგრად და მიდის)

კრიტ. მალაქია!

გამოსვლა XIII

მალაქია. ბატონო!

კრიტ. მოთავდა?

მალ. მოთავდა ბატონო.

კრიტ. კარები ხომ ჩაჰკეტე?

მალ. დიაღ.

კრიტ თუ კიდევ მიკითხოს ვინმემ, არავინ შემოუშვა არც დღეს და არც არასოდეს, გესმის? თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები.

მალ. ბატონო, ამაღამ მამათქვენი უნდა მოვიდეს მატარებლით ნაშუაღამევს.

კრიტ ნურც იმას შემოუშვებ. ალბათ იმასაც პიესა ექნება დაწერილი.

მალ (მორცხვად) ბატონო! აგი დავწერე და (აძლევს რვეულს).

კრიტ. რა არის ეს?

მალ დრამა ბატონო.

კრიტ. (სიცილი წასკდება, რომელსაც უეცრივ შეიკავებს) ეს რა მოარულია თქვენი ჭირიმე. (იმას) როგორია, მოგწონს?

მალ. იმე, იმე! მომწონს რომელია ბატონო. მომწონს კი არა, მთელი ლაქიობა გადარეულია.

კრიტ. რა აზრია შიგ გატარებული?

მალ. რა გინდა, სულო და გულო.

კრიტ. მაინც, მაინც?

მალ. ქალი და კაცის სიყვარული, კინტოს აღსარება, კაცის დახრჩობა, ქალის მოტაცება, ხუცის გაკრეჭა, ვირის აბანო, ზაბ**ა**სტოვკა, **რ**ევოლუცია, მუშათა კავშირი, რეაქცია, დუმის ვიბორები და ათასი სხვაი.

კრიტ. კარგი. წავიკითხე.

მალ. იმე! წეიკითხე კიდეც და მეიწონე, თვარა აფხანიკებს მოუკლავი არ გადვურჩები. შენისთანა კლიტიკოსი სახლში მყავდეს და ერთი პრემია არ ჩავცეცხლო? (გადის).

კრიტ. (საზოგადოებას) ან მე ვარ საქიოს, ან თქვენ. (ბოდთასა სტემს ერთი წუთით) არა, შეუძლებელია ამ სიდუხჭირის აღუნიშვნელობა, შეუძლებელია. (დადის და ერთი წუთის შემდეგ შედგება) ბიეკო! ეს რამ გამიხიცინა? (**დადის** და უეცრივ) ისეთ გუნებაზე ვდგები, რომ... აბა ნახავთ თუ ამაღამ მეც პიესის წერა არ დავიწყო, ან რა გასაკვირველია? თუკი ყველანი სწერენ, მე ვისი მეცამეტე გოკი ვარ? (უეცრივ მაკურდება მაგიდას და სწერს რადცას გამადებით) ამბობს: სათაური „კრიტიკოსთან", ვოდევილი ერთ მოქმედებათ. მოქმედნი პირნი... (სწერს).

გამოცხვლა XIV

(შემოდის ქეთო მარცხნივ კარებიდგან)

ქეთო. მეგობარო! გეყო თავის ხეთქა. წამო დაიძინე. ლამის შემოგვათენდეს.

კრიტ. მოიცა, ნუ მიშლი! უმჯობესია წახვიდე და დრამები სწერო.

ქეთო. (შავ მასთან) რასა სწერ?

კრიტ. რასა და პიესას.

ქეთო. ხა, ხა, ხა! შენც გადაგრიეს?

კრიტ. დიაღ ქალბატონო, გადამრიეს, გადამრიეს, გადამრიეს!

ქეთო. (ხარხარებს მსიარულად).

ფ ა რ დ ა.

ტრიფონ რამიშვილი.

დეპეშები.

(საქართველოს სააგენტო)

ქუთაისი. გასაოცარი სანახაობაა გამოფენილი ქუთაისის სამეურნეო გამოფენაზე. აფრიკისა და ამერიკის წითელ – თუ შავკანიანთა მიბაძულობით ერთ ახალგაზრდა (არც ისე ახალგაზდა!) თავადს სახეზე „ტატუიროვკა“ გაუკეთებია. ე. ი. სახეზე ნაკაწრულობით სხვა და სხვა მხატვრობა გამოუყვანია. აფრიკაში არ ვიცი რით იკეთებენ ამ მორთულობას, მაგრამ ქუთათურ თავადს ქინძისთავით დაუხატავს თავისი სახე. ხალხი განცვიფრებულია ამ სანახაობით. თავადის გვარი მგონი ჩიჩუა უნდა იყოს.

ფოთი. ნიკო ნიკოლაძის იუბილე ფოთის საზოგადოებამ დიდებულათ განიზრახა. გამოწერილია ქუთაისიდან გვირგვინების მასალა და როსტოვიდან საადრესე ქაღალდები. დღესასწაულებზე ჭიათურიდან გ. ზდანოვიჩს მოელიან.

ოზურგეთი. სასტიკი გამოძიების შემდეგ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში აღმოაჩინეს ერთად-ერთი მოსწავლე, რომელსაც ყურის ბიბილო სრულიად უვნებელი ე. ი. აუხეველი ჰქონდა. ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია მთელს ქალაქში. ბავშვს საჩვენებლათ ქუჩებში დაატარებენ.

* * *

დუხჭირ ცხოვრებით გატანჯულს
მარად ჟამს მოვაგლახესა,
სევდა ნაღველი დაჰკვრია
ზაქაროს ფერ-მკრთალ სახესა.

—

მისი აზრი და გონება
ფიქრს დაუპყრია მწარესა;—
ეტყობა გული მოუკლავს
ტანჯვას და სიმწუხარესა.—

—

შეკრთა უეცრივ საბრალო...
იგრძნო სისუსტე სულისა
ზეცას მიაპყრო თვალები
გმინვა აღმოხდა გულისა.

—

შეჰბღავის: „ღმერთო!.. სადა ხარ!..
მომხედე შავ-ბედიანსო,
მთლათ ნუ ჩამიქრობ სიცოცხლის
ნათელ სხივს იმედიანსო.

—

ჩაგრულთ სასოო?.. ისმენდე,
ჩვენს ღაღადს, ჩვენსა კვნესასო;
დაამხე ქვეყნათ მონობა,
მოსწყვიტე მეხი ზეცასო.“

—

მაგრამ ზაქაროს ვედრება
არ ესმის კერპად ქცეულსა;
—„სწყევლის და ჭკრულავს სიცოცხლეს
შავ ჯოჯოხეთად ქცეულსა.“

გ. ქუჩიშვილი.

დეპეშები.

(რუსეთის სააგენტო)

პეტერბურგი. სენატორი გარინის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ჰაერში ფრენა რუსეთში უფრო გავრცელებული ყოფილა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში და რომ პირველი საფრენი რუს ინტენდანტებს მოუგონიათ. მაგალითად ერთ-ერთ საინტენდანტოდან გაფრენილა: შვიდი ათასი წაღა, ოთხი ათასი შინელი და მრავალი ფუთი თივა. ეს იმითაა საინტერესო, რომ ყველა აღნიშნული ნივთი თავის თავად ჰაერზე უფრო მძიმეა.

ნიჟნი-ნოვგოროდი აქაურ საინტენდანტოდანაც აფრენილა მრავალი სანოვაგე. უმთავრესათ მაუდები და ტყავეულობა.

კიევი. გაფრინდნენ საპნის ნაპრები.

ვარშავა. პოლონეთის დედა ქალაქში მოუთმენლათ მოელიან თუ როდის ჩავა იქ ბ-ნი გვაზავა ერობის შესახებ ლექციის წასაკითხავად.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმაში ვაკრობა 15 ოქტომბრამდე არ დაიწყება. ახალი სტილის შემოღება ბევრ სენატორს არ მოსწონს, რადგან ფიქრობენ ამ ანგარიშით 13 დღით ადრე მოკვდებითო.



ორი ეშმაკი.

(კახსნა საგუბერნიო საერბო სიტყვისა.)

მეორე. მეორე ორატორმა კარგა დიდხანს ილაპარაკა ერობის საჭიროებაზე, მის სასწაულთ—მოქმედებაზე, უქვეშევრდომილეს გრძნობებზე და სხვა ამგვარ სასიამოვნო რამეებზე, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი მისი სიტყვის ერთი ადგილი იყო: გლეხობა და თავად-აზნაურობა სოფლად, დასაბამითგან ცხოვრების ერთგვარ პირობებში იყვენ და მგონი თანხმობითაც ცხოვრობდენო. როგორ მოგწონს ა?

პირველი. კაცო, შენ ის მითხარი კრება პირდაპირ მეორე ორატორმა როგორ გახსნა?

მეორე. ეს ჩემი საიდუმლეაა! შენ ის მითხარი მეორე ორატორის ნათქვამი „თანხმობა“ როგორ მოგწონს!

პირველი. ის თუ შენი საიდუმლოებაა, ეს ჩემი სეკრეტია.

მეორე. ძალიან კარგი რამ კი უნდა იყოს ეს ერობა, ამდენი პატიოსანი კაცი რომ შეუწუხებია.

პირველი. კარგათ გამომცხვარი დიახაც რომ კარგი იქნება და მართლაც კარგი რომ არ იყოს ამდენი კაცი რათ შეიწუხებდა თავს?

მეორე. მეხუთე ორატორმა ილაპარაკა: „მაშინ აღარც ვინმე ქათამს მოიპარავს, აღარც მეზობელი მეზობელს გალანძღავს, არც ვენახს აუპრის, ერთი სიტყვით ქვეყანაზე სრული ბედნიერება დამყარდებაო.

პირველი. მაშ როგორ გეგონა? აი კვირას ლექციაზე ერთმა „ლირიკოსმა“ გამოარკვია: თუ ერობა შემოვიღეთ და ისიც სამი ივნისის საარჩევნო კანონით, მაშინ საფრანგეთში მშვენიერი გზები გვექნებაო. ავტომობილებიც ივლიან დაჯერმებიცაო.

მეორე. მეორე ლექტორმაც იმ დღეს, ლექციაზე ასე გაგვიმარტა: თუ ჩვენ ერობა გვაღირსეს შვეცია ნორვეგიაში უსწავლელთა რიცხვი ძლიერ შემცირდებაო.

პირველი. წარმოიდგინე, სამი ივნისი მარტო დუმაში იყო მეგონა, თურმე ნუ იტყვი ერობასაც ამ კანონით აირჩევენ.

მეორე. ამბობენ ეგ სურვილებია, თორემ სამ ივნისს დაბლაც დაეშვებიანო. ჯერ ამ „ხალხის წარმომადგენელთა“ თათბირი ექვსსა თუ შვიდ საცერში გაივლის და უბრალო საცრებში კი არა?

პირველი. მაშ ქვეშ რაღა გაცვივა?

მეორე. ამბობენ გადასახადების მომატებაო.

პირველი. სოფელს არ ყავს თავის წარმომადგენელი?

მეორე. აბა რა გითხრა: რამოდენიმე ჩოხიანი კაცი კი დავინახე, მაგრამ ვინ გამოაგზავნა და რა დაუბარა ძნელი საცნობია.....

პირველი. განა არავის იმათგანს არ ულაპარაკია?

მეორე. როგორ არა, ილაპარაკა ერთმა მათგანმა და სწორეთ იმიტომ მოგახსენე ძნელი გამოსაცნობია რის თქმა უნდათ, ან ვისი გამოგზავნილნი არიან მეთქი.

პირველი. რა სთქვა?

მეორე. რა ვიცი რა სთქვა! „მადლობელი ვართ გუბერნატორისაგან, მადლობელი ვართ აგრეთვე თავად-აზნაურთა წარმომადგენელისაგან, მადლობელი ვიქნები ერობისაგანაც.“

პირველი. როგორი ერობა მინდაო ამაზე არაფერი სთქვა?

მეორე. აპირებდა, მაგრამ ჩაიზე მიიწვიეს ქალაქის სამართველოში და ვეღარ მოასწრო.

პირველი. როდის იქნება ნეტავი, დროზე მაინც ებოძება ხალხს ეს კეთილ-დღეობა?

მეორე. თუ 1905 წელსავით „ხალხის ოცნებამ“ ხელი არ შეუშალა, ჩინეთის კონსტიტუციასთან ერთად ალბათ ეს საკითხიც გადაწყდება.

პირველი ღმერთმა ქნას.

1909 г.

გრიგოლ ვოლსკი.

ნ ოქტომბერს, თფილისში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა გრიგოლ იოსების ძე ვოლსკი.

ამ მოულოდნელმა ამბავმა დიდათ დაამწუხარა მისი მეგობრები და ახლო ნაცნობნი.

განსვენებულს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართულ მწერლობის წინაშე. ცნობილია როგორც პოეტი (ფსევდ. უმწი ფარიძე), ბევრი საკუთარი ლექსიც დაუწერია და ბევრიც მშვენივრად გადაუთარგმნია სხვა ენიბიდან. სწერდა აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებს და სთარგმნიდა ქართულ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებებს რუსულ ენაზე.

გრიგოლ ვოლსკი ცნობილი იყო აგრეთვე როგორც საზოგადო მოღვაწე. ის მუშაობდა უმთავრესად ბათუმის საქალაქო თვითმართველობაში აქ ის რამდენიმე წელიწადი გამგეობის წევრად იყო, მაგრამ ბოლოს, ადმინისტრაციასთან უსიამოვნობის გამო, თავი დაანება.

განსვენებული, გარდა ამისა, ყოველ ქართულ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. იყო წევრი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და როგორც წევრი ბათუმის ადგილობრივ სასკოლო კომიტეტისა შესაფერ სამსახურს უწევდა საზოგადოებას.

როგორც კარგი მცოდნე ქართულის ენისა და ლიტერატურისა განსვენებული შარშან მოწვეული იყო მასწავლებლად ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში და სიკვდილამდე აქ მასწავლებლობდა.

შ ა რ ა დ ა.

არ მქონდა ზრახვა, ნოტებით
დამეწყო ესე შარადა,
რამეთუ ნოტი ამ დარგში
ძნელია მოსახმარადა,
მაგრამ რა ვუყო, გზა არ მაქვს
მე მისი შემოსარები,
უნდა მონახო ნიშანი
მღერაში გასახმარები...
არ თუ მონახო, კიდევაც
მოჰკვეცო უხმო ნაწილი...
(მგონია ამგვარ საქმეში
ხელი კარგა გაქვთ დაცდილი.)
შემდეგ მოსძებნე სახელი
დამშეღლ მგელთა კრებისა,
წინა ანბანის მოწყვეტა
აქაც ნუ გეფიქრებისა.
ორი დარჩება, მაგრამა
ის ორი გვიჯობს ყველასა.
(ასოთა მეტ-ნაკლებობა
შეგვამთხვევს ხათაბელასა.)
როცა მზად იყოს ორივე
მას ერთი კვალად დასძინეთ,
მაგრამ ეგ სიტყვა, საკუთარ
თავიდან გამოაძვრინეთ.
თუ სახელ-დებით გეცნობა
თავისა შენის ძვალ-რბილი,
მაშინ, მერწმუნეთ ეგ სიტყვაც
მოსაძებნია ადვილი.
როს მოიპოვოთ, უთუოდ
სხვებრ ეგეც წინადაცვითეთ,
ანუ, უკეთ ვთქვათ, პირველი
ანბანი ჩამოაწყვიტეთ.
ამისა შემდგომ ნაშთები
ერთმანეთს მიაკერევით
მაგრამ რიგ-რიგათ, რამეთუ
საქმე წახდების შერევით.
მყის თვალთა თქვენთა წინაშე
დაიწერება სახელი,
გულკეთილ მთავრობისაგან
ჩვენდა ხსნად განაზრახველი,
რომლისა კეთილ-ყოფისა
ჯერაც არა ვართ მნახველი
(თუმც მასზე მოთათბირეთა
ბევრი გვინახავს მძრახველი)
არა მგონია იმისგან
ხალხს მოეფინოს ნათელი
და გაუქარწყლდეს გლეხკაცსა
უზომო სევდა,—ნაღველი.
ან მოემატოს საცოდავს
სახნავ-სათესი „ნადელი,“
ან შეუმცირდეს იმითი
უზომო გადასახდელი,
არა მგონია, რადგანაც
იგივ დარჩება მხარჯველი,
ვინც დასაბამით ყოფილა
იმისი მყვლეფელ მტანჯველი.

ამდენ ხანს ყველა იცნობდა
აქ ნათქვამს გადაკრულათა,
თუ წამკითხველი არ იყო
ჭკუაზე მხიარულათა.

კოლო.

ორი ვექილი

(სტენა ბრეგინსკიაზურ რესტორანში).

ვექილი გაქექილაძე (40—45 წლ.) და ვექილი კისლაროეოვი (50—55 წლ.) რესტორანში გრძელ მაგიდას უსხედან და ნელა თამბაქოს ეწევიან. ხალხი ბლომათაა.

გაქ. (წამოიწევა) Нѣтъ, ивэ ивэнич! ეს დრამა... კხე!.. ამ დრამას მღვდლები... კხე, კხე!... დრამის ძალათ აღება მე უკანონო მოქმედებად მიმაჩნია.

კისლაროე.—ეს რატომ?

გაქ რატომ?! აი რატომ?... მე ღმერთი მრწამს, სარწმუნოება მაქვს (პირჯვარს ისახავს), ხატი მიმაჩნია, ჯვარს ეაყვანს ვცემ, მაგრამ ეს დრამა... დრამას პატივს არ ვცემ...

კისლ. იმიტომ, რომ შენ არ გეკუთვნის!

გაქ. არა, მღვდელს ეყოფა სხვა შემოსავალიც!

კისლ. მერე იმასთან დრამაც აწყენს თუ?

გაქ. არა, წყენაზე ხომ არ არი ლაპარაკი. განა ჩვენ კი გვაწყენს აგერ... (ნერწყვი ადგება და პირს აწკლაპუნებს; პირის წკლაპუნით და თვალების ბრიალით უნდა ანიშნოს მაყურებელთ რაღაც საგანი, რომელიც მათ ეხლა „არ აწყენს“) მაგრამ ასეც არ არის...

კისლ. დიახაც, რომ არ არის: ჩვენ გვინდა და არ გვაქვს, მღვდლებს უნდათ და დრამასაც ამიტომ მოითხოვენ ისე თავ გამოდებით.

გაქ. Но вѣдь согласитесь, Иванъ Иванычъ что это настоящій грабежъ

კისლ. Да почему-же грабежъ!

გაქ. იმიტომ რომ მღვდლები ღებულობენ ჯამაგირებს, საწირავს, სანათლავს, საგვირგვინოს თუ სხვა ათასნაირ ჯანაბას და ეს დრამა კი ზედმეტია... А сказано: »Бойся Вышняго, не бери лишняго!»

კისლ. ხე. ხე. ხე! ასეთი ანდაზები უმჯობესია შენთვის შეინახო... გამოგადგება!.. თქვენ ხომ ერთ თხოვნას 5 მანეთ ნაკლებ არ სწერთ. თუ ბრიყვი ვინმე ჩამოგივარდათ, 10-საც ააწაპნით, ერთი კაი ხაჭაპურიც რომ ზედ დაგირთოთ, არ აიღებთ, თქვენი მადის ამბავი რომ ვიცი აი!..

გაქ. ერთი შენც შედარება იცი, ივან ივანიჩ, რაღა! ხაჭაპური—это называется « натурой»... დრამასაც რომ მღვდლები ისე „натурой“-თ ღებულობდენ კიდევ არაფერი... ეხლა კი ფული, ფული... და რაც სოფელში ფული იყო სულ მღვდლებმა წაიღეს...

კისლ. ასე რომ თქვენთან აღარაფერი მოაქვთ არა?! აქ სულ სხვა მიზეზი გახლავსთ!..

გაქ (თავს დახრის. შენიშვნას შორს დაიჭერს თავის ქნევით) მდაა!.. იბადები—მღვდელის ბაჟი!.. ქორწინდები—ბაჟი!.. კვდები—ბაჟი!.. სამოთხის გზაზეც მღვდლები უნდა იყვენ მებაჟეებათ... Нѣтъ, ეს არ შეიძლება. ეს ქრისტეს მცნების თანახმათ რაღა გამოდის... ქრისტე უსასყიდლოთ ქადაგობდა!

კისლ. ქრისტე ღმერთი იყო. მღვდლები კი ადამიანები არიან: ჭამა უნდათ.

გაქ. მერე ჭამას ვინ უშლის? ჭამონ ზომიერად!..

კისლ. მზომველი ვინ-ღა უნდა იყვეს? თქვენ ხომ არა?..

გაქ. არა, მე იმის თქმა მინდა, რომ აიღონ ის, რაც ერგებათ: ჯამაგირი, საწირავი, სალოცავი, სანათლავი... а «что сверхъ этого, то это-отъ лукаваго!“... და ტყვილად გაირჯით თავს წინააღმდეგის მტკიცებით!.. მშვიდობით! ნახვამდის! (გადის).

კისლ. თავისთვის. ისე რომ სხვებსაც ესმოდეს! ჭადაგობს! რაღა! უნდა, ხალხს თავი პროგრესისტად მოაჩვენოს. გიცნობთ გეთაყვა! ღრამა ზედმეტიაო... ის კი ნაკლები იყო თქვენ რომ გოგია ჭიღვაძეს ნეუსტროიკს ძალით 600 მანეთი გადააკარჭვლიეთ, ან—აფრასიონ ტყემალაძეს საქმის ნაწარმოებში ჯერ ოთხჯერ მეტი რაოდენობის ვექსილი ჩამოართვით და შემდეგ კარმიდამოზე ხელი აიღებინეთ, ან კიდევ... სიოლა კეხაძეს ჯერ თითონ შეადგენინეთ „პადლოგი,“ შემდეგ კი ამისთვის ციმბირში გადააბარგეთ... დიახ. ეს ცოტაა! აწი მეტს მოიმოქმედებთ.. პროგრესისტად კი მოაქვს თავი... Шалишь, братъ!.. მე ვერ მომატყუებ! (აქ მან ერთი გამოაფურთხა იატაკზე, ფეხით გასრისა, წამოდგა გამარჯვებულ ყვინჩილასავით მაყურებელთ გადახედა და გავიდა).

ნ. ზომლეთელი.

გოდება მცირე.

—

ვაჰ, დაწვრილმანდა ცხოვრება ჩემი
სიმშილით კუკი დაჭკნა, დამიცხრა *),
ოცნებას მოვწყდი. გამოვეთხოვე;
ჰარნასი დავთმე,—მუზა გამიწყრა.
მკერდი უგულო,
ჯიბე უფულო
ყოფნა ამგვარი
არს შესაზარი..

ბილილა.



მათრახის კუდი.

ცოტა დავაძვირეთ მათრახის კუდი, თორემ მათე გორგილაძეს „ივერიის“ წუმპეში ბანაობა ეგრე სასიამოვნოთ არ ექნებოდა.

ოჰ უგუნურთა თავ-მოყვარეობავ და ბრჭყალებში ჩასმულო სოციალ-დემოკრატებო!

რა მოხდა?

სრულიად ჩვეულებრივი ამბავი: მათე გორგილაძემ, (დღეს კონ. თუმანიშვილს კანონიერმა გერმა) ჩვენს რედაქციაში ბათუმიდან პატარა ლექსი ჩამოიტანა. ლექსი ჩვენს კორესპოდენტს „წკიპურტს“ ეკუთნოდა, მაგრამ ბოლოზე ასეთი წარწერა ჰქონდა: „შემაწუხა ამ ჯტმა, (იგულისხმეთ მათე გორგილაძე) ეს ლექსი დამაწერია, გინდ დაბეჭდეთ და გინდ ნუ“-ო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბ-ნ გორგილაძეს ძლიერ ეხერხება კაცის შეწუხება: ნამდვილი ხოზიკაა, თუ ერთხელ აგეკიდა ვეღარ მოიცილებ!

მიუხედავად ამ შენიშვნისა, ჩვენ ავაწყვეთ ლექსი და დაბეჭდვასაც ვაპირებდით. ამ დროს რედაქციის ერთმა წევრმა განაცხადა: „ცნობა გამოურკვეველია და ჯერ ნუ ვბეჭდავთო“. ლექსიც გადაიდო. კერძო წერილი მივწერეთ ლექსის ავტორს: უფრო დაწვრილებით ეცნობებია რედაქციისათვის ეს ამბავი. არა გვგონია ეს დასაძრახი მოქმედება იყოს.

ბ-ნი გორგილაძე ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა. ის თითქმის მუდამ დღე აღამებდა „შრომის“ სტამბაში და დაჟინებით მოითხოვდა, ლექსი დაგვებეჭდა. კერძოთ მე ვაცნობე გორგილაძეს „წკიპურტისადმი“ წერილის მიწერის ამბავი, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა: თუ ამ ნომერში არ დასტამბავთ, წერილს წავიღებ და თქვენც პასუხს მოგთხოვთო. აღარ მოუცადა პასუხს.

წაიღო და პასუხიც მოგვთხოვა! უბადრუკი! თუ არ ავათმყოფ თავმოყვარეობისა და უფაქიზობისადმი ცხოველი მიდრეკილების მექონეს, სხვას ვის შეეძლო იმ სინდის გარეცხილობისა და გარყვნილ-გამყიდველობის წუმპეში შეძრომა, რომელსაც კ. თუმანიშვილისა და მის მაგვართა ბუნაგი ეწოდება?

დიახაც არავის.

ახლა ვიკითხოთ, რა უფლება ჰქონდა „სიმართლის მოტრფიალე“ მათეს, სხვისი ნაწარმოები, ჩვენი რედაქციისათვის დანიშნული ლექსი, იქ, იმ უწმინდურების საგვანეში ჩაეგდო და მით შეურაცხყოფა მიეყენებია ავტორისათვის?

რა უფლება ჰქონდა ბ-ნ მათე გორგილაძეს, ფსევდონიმიც თავისი ხელოვნებით შეევსო და „წკიპურტისათვის“ „მათურიც“ დაემატებია? ეს „მათური“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ დათვური სამსახური არაფრით არ გამოუწვევ-დაუმსახურებია ბ-ნ წკიპურტს და თუ არ მათე გორგილაძის უმეცრებით სხვით რითი შეიძლება აიხსნას?

მაგრამ აბა რა უნდა ვკითხოთ რეგვენს, რომელსაც თავისი შეუგნებელი თავმოყვარეობის გარეშე აღარაფერი ახსოვს?

ახლა მაინც იცოდეთ ბ-ნო გორგვლაძევ, რომ თქვენ მოიმოქმედეთ ფრიად უპატიოსნო საქმე და ამით სამართლიანად დაიმსახურეთ:

როგორც სიყვარული ქართული იეზუიტის კ. თუმანიშვილისა,

აგრეთვე კუდი ეშმაკის მათრახისა.

ეშმაკი.



*) „დაცხრომა“ არის ტკივილთ შეწყვეტა, მაგრამ შიმშილმა ეგ იცის ნეტა?

ეშმაკი.

მდინარეს.

არ გვესმის, არა, თუ რას დუდუნებ...
ჯერ მიუდგომლათ ეს მოგვიყევი:
ვინ იყო ზევით გულს რომ ჩაგეკრა,
რათ ახმაურდა ტიალი ხევი?

—

ველარას ვარჩევ შენსა ლუღლუღში...
მარად ურჩი ხარ, გულ ჩახვეული...
დე... მე თვით ვიცი ვისია სისხლი
უღთოთ, უმართლათ აქ დანთხეული!—
სოფლელი გლეხის! ის .. შეურცხყვეს,—
ვერ მოითმინა უსამართლობა—
და შეუბრუნა, საქმითვე, მტერსა,
ჭკადრა პასუხი, დაუწყო გმობა!..
გამოედევნენ წვრილ შვილთა მამას,
და რომ ასკლოდა ჯალათის ტყვია,
მან ამჯობინა მდინარეს გასვლა,
რწმენით შენს ტალღეს გადაეხვია!..

—

აუ! მარჯვენა, ქვეყნის მრჩენელი,
უკანასკნელათ მოდუნებულა!..
ხევი მრისხანეთ აღარ ხმაურობს,
არე-მიდამო დადუმებულა!..
შენც დუმხარ მათთან... უსიტყვო სივრცე,
უხმოთ-უაზროთ გადასარკულა,—
მხოლოთ იმედათ მომავალ ჭექის
შორს, შორს ღრუბელი ცაზე გაკრულა!

იასამანი.

ლირიკული ლექცია.

ბ-ნებო და ქ-ნებო!

საგანი დღევანდელი ჩემი მუსაიფისა არ არის არც მშვენიერი სახე ქალწულისა, არც ჟუჟუნა თვალები გულ-წარმტაცისა, არც ბროლის ფერი მკერდი და გედისური კისერი დიაცისა, არც მაცდური ღიმილი და გიშრის თმა მხევალისა, არც კოპწია ფეხები ორფეხა მშველისა და არც წერწეტი წელი ჰაეროვანი ზილფოვანებისა, არამედ მსურს მუსაიფი, მუსაიფი ერობის შესახებ.

რა არის ერობა?

ერობა არ არის საიდუმლო სერობა, არ არის არც ბერობა და არცა მწყერობა! ის არის მხოლოდ და მხოლოდ ერობა.

სიტყვა ერობა, ბ-ნებო და ქ-ნებო, წარმოსდგება ერისაგან და შეეხება ერს. რუსეთის შიგნეული გუბერნიები კარგა ხანია სტკბებიან ერობის სიტკბოებით. თვით სიტყვა „გუბერნია“ წარმოსდგება ორი ქართული შემეცნებისაგან: გუბე და ერი, რაიცა ნიშნავს ერის ერთ განსაზღვრულ სივრცეში შეგუბებას.

ამგვარათ ქ-ნებო და ბ-ნებო, ერობაც შეიძლება იყოს საგუბერნიო, რომელიც წარმოადგენს თვით მოქმედ ორგანოს შეგუბებულ ერის სურვილისას.

ქ-ნებო! ერობა საბოლოოთ სწყვეტს ყოველივე კითხვას ეკონომიურსა და სოციალურს, განურჩევლად სქესისა. ერობას შეუძლია, ჩვენი ტურფა ქვეყანა უმეტეს დაამშვენოს და ააყვავოს! რა, რა არ შეუძლია ბ-ნებო ერობას! თქვენ ამის წარმოდგენაც არ შეგიძლიათ ახლა, მაგრამ როცა ერობა გვექნება, თქვენ მაშინ წარმოდგენაც კი შეგეძლებათ. ერობას ბ-ნებო შეუძლია სითბო მოუმატოს ჩვენს ლაკვარდოვან ცის მკერდზე მოციმციმე ვარსკვლავთა ქალწულებრ მბჟუტავ თვალებს! მას შეუძლია მზეთ აქციოს მთვარე და დღეთ ღამე! მას შეუძლია შეუზავოს ზამთრის სიცივე ზაფხულის პაპანაქებას და მით მუდმივი გაზაფხული დაამყაროს! მას შეუძლია, მუხას რკოს ნაცვლად პირდაპირ ღორები გამოაბას და ჩვენს ეროვნულ მცენარეს, ვაზს პირდაპირ „საერო № 2“ დაადინოს! ერობას შეუძლია, ცხვარს პირდაპირ ნაბადი და შალეულობა მოაკრიჭოს, ხოლო ხავერდისებურ მობიბინე მწვანე ჯეჯილს გამომცხვარი ნაზუქები აყოლოს.

მითხარით, რა, რა არ შეუძლია ერობას!

ერობას შეეძლება, ყოველ საჭიროების დროს წვიმა მოიყვანოს, საჭიროების დროს ცას ღრუბლები გადაჰყაროს! მას შეეძლება, სამოსელი უკანასკნელი მოდისა მიწიდან აღმოაცენოს! მას შეეძლება, ადამიანი უკვდავ ჰქნას, თუ რუსეთის ადმინისტრაცია ამაზე თანხმობას დართავს. მას, გესმისთ, ყველაფერი შეუძლია, მაგრამ ერობაც არის და ერობაც!

ქ-ნებო და ბ-ნებო! ყველა ერობას სჯობია ის ერობა, რომელსაც მესამე დუმა გაიმეტებს.

ეს არის ერობა სამი ივნისის საარჩევნო კანონით არჩეული!

ლექტორი.

* * *

გავცქერი ზღვასა, მგრგვინავს, მშფოთვ არეს,
ფაფარ აყრილსა იმის ტალღებსა,
გაკაპასებით რომ ასკდებიან
ბუმბერაზ კიდეს სალ-კლდით ნაგებსა!
არა დრკებიან, თუმცა მრავალნი
გულ-მკერდ ნაბასრი უკუ ცვივიან
და შავბნელეთი-ზღვისა უფსკრულში
ათასობითა შთაინთქმებიან.
სურთ გაანგრიონ კლდეთა ჯავშანი
და გზა იშოვონ თავისუფალი,
რომ მათ მჩქეფარე სპეკალ ზვირთებსა
არ.ოდეს ყავდეს ბატონ-უფალი.

—

ეჰ, იმათებურ დიდ მომავლისკენ
ჩვენც მივილტვოდით მოუსვენარნი!
ჩვენ თავგანწირვას, გაბედულობას
გაოცებულნი მზერდენ მრავალნი,
მაგრამ დავმარცხდით... უთვალავ გმირმა
ეკლით სავალ გზას შესწირა თავი
და ნარ-ეკლებით მოფენილ ველზე
სული დალია... ჰპოვა საფლავი.

დ. თურდოსპირელი.

ქართული სცენა.

(„საზოგადოების საყურადღებოთ“)

„აღკურვილნი გამოცდილებით და დაკვირვებით (შარშანდელ შეცდომათა გამო) ჩვენ, თფილ. ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობა, შევუდექით მომავალ სათეატრო სეზონის გაუმჯობესობას. უპირველეს ყოვლისა ჩვენის ცარიელი ჯიბით და ქართველური რიხით ავიღეთ სათავადაზნაურო თეატრი. ამ რიგათ მუდმივი ბინა მოვუპოვეთ ჩვენს მსახიობებს. შევადგინეთ კომისიები: სარეპერტუარო, ადმინისტრატიული და სხვა... ვიკრიბებით თითქმის ყოველ დღე ჩვენს კანტორაში, ვაცხადებთ სხვადასხვა რეკლამებს გაზეთებში. ერთი ს ტყვით მოვემზადეთ როგორც შეფერის ჩვენს დანიშნულებას და სამშობლო ხელოვნებისადმი ვალს, და აი 27 სექტემბერს მადლითა ალლაჰისათა გავხსენით სეზონი ახალი პიესით „სამშობლო“-თი. უკაცრავად, ახალი პიესით კი არა, ახალ პერსონაჟით. რავქნათ, ასე სჩვევია თფილისის სცენას და ჩვენც მატრაკვეცობაში ჩამოგვართმევენ, თუ ძველს ადათს გადაუხვიეთ.

ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ განსაკუთრებული უნარი, ‘ნო და საქმის ცოდნა, ჩვენ გამოვიჩინეთ დასის შედგენაში.

მართალია ზოგიერთა თვალსაჩინო ძალები ჩვენი დაუდევრობის გამო ქუთაისისკენ გაგვიფრინდენ, მაგრამ აქაც არა ერთი და ორი ვარსკვლავი დარჩა. ისიც მართალია, რომ ახალმა დებიუტანტებმა ცოტა არ იყოს, გემო აგვიშალეს, მაგრამ ახლები რათ გვინდა, როდესაც ჯერ ძველებსაც საკმაოთ არ ულაზღანდარიათ ქართულ სცენაზე. (ახალ დებიუტანტებს ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ საძაგლებს ჩვენი ამბავი საკმაოთ გაუგიათ და არ გვენდვენ. გვიკვირს, ჩვენთან მუშაობას პეტერბურგის სიცივეში კბილების კრაკუნს რათ ამჯობინებენ! ერთი სიტყვით მოვიწვიეთ დასი, მაგრამ რა დასი! რეჟისორები? მაგრამ რა რეჟისორები, პირდაპირ თითებს ჩაიკვნეტთ—ნამდვილი ბუკეტია.

რომ საზოგადოებას უფრო ნათელი წარმოდგენა ქონდეს ჩვენ დასზე, თითეულ არტისტის ამპლუას აქვე ჩამოგითვლით:

ქ-ნნი: ვ. ჩერქეზიშვილი.—თამაშობს კომიკურ და დრამატიულ მოხუცებს. დროგამოშვებით ვათამაშებთ „ლირიკულ“-ს. აქვს დრამატიული ბარიტონი.

ტ. აბაშიძე—თამაშობს პატარა შარვლიანებს და გულუბრყვილო ქალწულებს. საუცხოოა სინტრიგო პიესებში აქვს მშვენიერი ხმა. (ქონდრის ხალხთა დასმა გააპირა მისი თან წაყვანა, მაგრამ მიუხედავათ წინანდელ მასთან გაბუტვისა, ჩვენ დასში დავტოვეთ).

ქილარჯიშვილი—ჩვენც არ ვიცით, რას ვათამაშებთ.

მ. მდივანი—ვათამაშებთ ყოველგვარ როლებს და თუ ზურგ მაგარი გამოდგა, სეზონს გავიანჩალებინებთ.

ა. კარგარეთელი—თამაშობს „გრან დამებს“, „გრან კოკეტებს“ და სხვადასხვა „გრანებს“. უკანასკნელი სიტყვაა გრაციისა და პლასტიკისა. ქართულიც არა ნაკლებ ეხერხება.

ნ. ჯავახიშვილი—ეს ქალბატონი დიდი პრეტენზიის პატრონია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოთ მაჩიჩისათვის გვყავს მოწვეული. ევროპიულ ენებში, გვარიანათ იცის რუსული.

ლეჟავა—შარშან გაგვებუტა, წლეულს ძლივს შემოვიტყუეთ. ჩვენ ვასწავლით როგორც უნდა ბუტიაობა, როცა ჯამაგირის მიღებაზე მიდგება საქმე.

ნებიერიძე—მოწვეული გვყავს დეკორაციათ.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე—მოგეხსენებათ, რომ ჩინებული კომიკია, მაგრამ ჩვენ დრამატურგობასაც შევაძლებინებთ. გარდა ამისა რეჟისორათაც გამოვიყენებთ.

კ. მესხი—თ მაშობს მხოლოთ დიდ როლებს, პატარებზე მწყრალია. გაბუნია-ცაგარლის გაძევების შემდეგ, ვაპირებთ ხანუმაში გამოშვებას. წელს ესეც უნდა ვარეჟისოროთ. ხომ მოგეხსენებათ „უკატო ქვეყანის“ ამბავი?.

ვ. გამყრელიძე—ჯანს გავაგდებინებთ და ჰამლეტსაც ვათამაშებთ.

კ. შათირიშვილი—ეს მსახიობი ცოტა არ იყოს, ჩვენს დასზე ვერ არის მოწყობილი. ამბობენ, შრომა უყვარსო და თუ ამ საძაგელმა თვისებამ საკმაოთ თავი არ იჩინა, ამასაც ვარეჟისორებთ.

გ. გედევანოვი—თამაშობს ყოველგვარ პიესებში და ასრულებს ყოველგვარ როლებს. უმთავრესათ ეხერხება „ლურაკების“ როლები. აქცენტი და ენის უცოდინარობა საუცხოვო აქვს.

ივანიძე—თამაშობს აშოღლანებს, მექისეებს და სხ. აქვს მშვენიერი ხმა. პლასტიკა და გრძნობიერება გასაშტერებელი. თუ დარი დაუდგა, ესეც როდისმე ირეჟისორებს.

გვარაძე—თამაშობს ციეგ-ცხელებიანებს, გვარიანი რამეა.

მატარაძე—ახირებული აქვს გამლეტის თამაში, მაგრამ ჯერ მხოლოთ უსულო საგნებს ვათამაშებთ. საუცხოოა დვორნიკი „დუბინას“ როლში.

საფაროვი—თამაშობს უსიტყვო როლებს, ქართული საუცხოოდ არ ეხერხება. აქვს მიღებული ოქროს ყეტო-

ნი და მადლობის ბარათი სუმბათაშვილისგან, საპურისის როლის გამშვენიერებისათვის.

ხ ა შ მ ე ლ ი—წარმოადგენს განხორციელებულ ნიჭიერობას. ვათამაშებთ სალონის მოარშიყეთ.

ოეეისორები როგორც ზემოთა ვთქვით გვეყოლება ოთხი, მათ თანაშემწეთ მხოლოთ ვ. ურუშაძე. გვეცოდება მაგრამ რა ვქნათ მოხერხებული კაცია და იქნებ ყველა მოიმადლიეროს.

ერთი სიტყვით ვძვრებით ტყავიდან და ეხლა საზოგადოებაზეა ჯერი, როგორ დაიფასებს ჩვენს მოღვაწეობას.

კინაღამ ხელს აწერს თფილისის ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა.

ნამდვილთან კინაღამ სწორია, მდივანი „ხერ—სო“.

ლეჩხუმური ოცნება

(თავადთა ქეიფი).

კნეინა: გთხოვთ მობრძანდეთ თავადებო
დაიჭიროთ სტოლთან სკამი,
დროს ნუ ჰკარგავთ, საქეიფოთ
ძვირფასია თითო წამი.
ჯერ სადილით შეექეცით —
მოგერთმევათ კვლავ ვახშამი,
ნუ მოგვიწყენთ, მოლხენაში,
ხართ ხომ ქება შენასხამი!
სუფრის თავში უხუცესო
თქვენ მიბრძანდით, რიგი არი,
ნებას გაძლევთ გვერდს მოისვათ
თქვენი სიყმის მეგობარი ..

პირველი თავადი: არ დავზოგავ ძალს და ღონეს,
ვფიცავ, რაც კი შემეძლება,
სურვილი მაქვს დღეს, კნეინავ,
შევასრულო თქვენი ნება,
უარი რომ გყოთ თითონ ვატყობ
რიგიანი არ იქნება,
თავადებს ვთხოვ ყური მიგდონ
იქონიონ მოთმინება:
ჯერ, კნეინავ, რიგისამებრ
თქვენსასა ვსვამ სადღეგრძელოს...
ნუ მოაკლოს ჩვენი გვარი
ღმერთმა თქვენებრ სასახელოს!
ისიც მინდა ორი სიტყვით
მოვიგონო ღვაწლი თქვენი,
თუმცა ვიცა ფასს ვერ დასდებს
იმას სუსტი ენა ჩვენი!
იგი იმ დღით დაიწყება
ივანეს რომ სტაცეს ხელი,
და თქვენს ახლო მიუჩინეს
მოხუცს ბინა სამყოფელი,
წასულიყო დაუსჯელად
საქმე იყო მეტად ძნელი,
მაშინ თავი ისახელეთ
ისეთს თქვენგან აწიც ველი.
ღალის მტერი არ დაინდოთ
შხამიანი როგორც გველი,
ზეცა იყოს თქვენი შემწე
და მარადის მწყალობელი!..

მეორე თავადი: ვაიმე რომ ტოლუმბაშის
არ გამომყვა ბედკრულს ენა,
თორემ რასაც მოვყვებოდი
ადვილია წარმოდგენა.
მეც კნეინას ვადღეგრძელებ
მიანიჭოს ღმერთმა ლხენა,
სხვაც ჩაეგდოს ისეთ დღეში
ივანე რომ ჩააყენა.—
კიდევ ბევრი დარჩენილა
ჩვენ სოფელში იმისთანა,
რომ გაუკრან უკან ხელი
ოთიას კი აწყენს განა?
ყველამ იცით იმ ქოფაკმა
ამაცალა დიდი ყანა,
დღეს მე თავსაც ალარ მიკრავს
იქ კი სახლი ჩაიტანა,
არ ივარგებს ყაძახისგან
თავხედობა ამისთანა;
და მეც ველარ მოვახერხე
ამეარა მისთვის გვერდი,
აწ ყანწსა ვცლი და ბიჭია,
შენთანა ვარ ალავერდი!

ბიჭია: ღვინოს არ ვსვამ, მაგრამ ამას

მე კნეინა დავცლი მთელად
თავადებში გვიან მოვხვდი
გლეხი ვიყავ იცით ძველად,
მაპატიეთ თუ რომ „რეჩი“
ვერ მოვაწყო ასე ხელად,
თქვენს საკადრის სიტყვა-პასუხს
შევისწავლი უეცველად!
კაცის შეკვრა რახან ვარგა
ყმა-მამულის დასაცველად,
თუ მაგგვარი ვერ მოვაწყო
მიმიჩინეთ ჭკუა თხელად!
ერთი წევრის პირობაზე
არ გახლავარ დასაწუნი,
„ღრამატა“ მაქვს, აღარ მიდის
წუნკლიანი გლეხის სუნი,
შევარცხვინე მათი ტოლი
და მათ საქმეს ანასუნი!

პირ. თავ.: ვგონებ არვის დაჰკლებია
სადღეგრძელო კნეინასი,
ეხლა კნიაზს გაუმარჯოს
გთხოვთ აიღოთ სავსე თასი;
ყველამ იცით მტრების ენით
ხშირად იყო ჩვენში შური,
მკაცრი ენით გამოგვითქვამს
ერთს მეორის საყვედური,
მაგრამ შემდეგ შეგვაერთა—
შეგვარიგა დროთა ბრუნვამ,
დღეს ამისთვის თავს არ ვზოგავ
თუკი გასჭრა ჩემმა ზრუნვამ.
იმედი მაქვს აწი მაინც
განმტკიცდება ჩვენი ძმობა
და მტრებს შიშის ზარში გაჰხვევს
უებარი ეს თანხმობა'..
გზის ერთობით შეწყობილებს
რაღა გაგვყრის აწი ჩვენა,
აგვაცილოს ყოვლის შემძლემ
ამ შავი დღის წარმოდგენა...

აზნაური: ბატონებო! ღვინის სმაში
ერთს არავის ჩამოვრჩები,
მაგრამ აქ კი უნდა ვთქვა, რომ
ტოლუმბაშს ვერ ვეთანხმები!
თუ გზაზეა ლაპარაკი
მომისმინეთ ცოტა მეცა,
თუ სიცრუე გაურიო
გამირისხდეს მაღლით ზეცა!
კნეინაზე არას ვიტყვი,
მიანიჭოს ღმერთმა ღხენა,
მაგრამ მიკვირს ამ ბიჭიამ
რისთვის დაიგრძელა ენა,
ღალატი და ორპირობა
ვის უქნია მაგოდენა,
წინეთ ხშირათ დადიოდა
მებუნტეთა კრებისკენა,
ეხლა აქით მოიწია
დაგვიმოყვრდეს უნდა ჩვენა,
ვინ მოუძღვა მაგ სომხის შვილს
და კარზე ვინ მოგვაყენა?!
ისიც მითხრეს კენჭის ყრაში
ხმა თურმე აქვს აზნაურის,
თუ ასეა, მარშალი გვყავს
და ღირსია საყვედურის!

მესამე თავადი: ჩემო ძმაო, აზნაურო,
მესმის შენი გულის ტკენა,
რაც შენა სთქვი მეც მაწუხებს
არ მასვენებს მათზე წყენა,
უბედობა რაც ჩვენა გვჭირს
ძნელი არის წარმოდგენა,
და მართლა რომ მაგ საქმეებს
არ შეჰფერის აწ მოთმენა!
ღვაწლი თუა აბა ჩვენში
ვის მიუძღვის შენოდენა,
ჰათ შესახებ რათ არ დასძრა
ტოლუმბაშმა მიკვირს ენა!
მერცხლის ბუდეს შენიც ჰგავდა
მინაშენი ჭერზე მაღლა,
ძირსაც ხვრელის ამოთხრაზე
შეგხდომია ბევრი დაღლა,
მათი მსგავსი დასამალი
არ ყოფილა ჯერაც ჩვენში,
და აბა ვით დავეთანხმო
ჩვენს ტოლუმბაშს განაჩენში?!
სამშობლოის სიყვარულმა
მონასტერიც მოგაგონა,
იმ დროს შენმა გადახვეწამ
თუმცა ყველა დაგვაღონა,
მაგრამ კიდევ მადლობა ღმერთს
მოგინახავს კარგი ბინა,
წრფელმა ლოცვამ ნამარნევში *)
მოგიყვანა ისევ შინა.—
აწი მამულს დაიფარავს
იმედი მაქვს შენი რხმალი
და ტანჯვისგან მოისვენებ
არა ერთხელ დანამალი!..

მეოთხე თავადი: მეც ხელს ვაწერ, ტოლუმბაში
ღირსი არის საყვედურის,
ჩვენი მტრები ახლა იცნო
იმათ მხოლოდ დღეს ემდურის,
თორემ წინეთ არა ერთხელ
მოკუტული დამინახავს,
და არ ვფარავ რომ ლაჩრობა
მისთვის ბევრჯელ დამიძრახავს!
დღეს რომ ჰკითხო, ჩვენს ერთობას
იფარავდა ვითომ მარად,
ბევრ ჩვენთაგანს ასეთ ტყუილს
შეაპარებ შეუდარად!..
მაგრამ მე ვერ დამატყუებ,
ეხლაც ისე, როგორც წინათ,
კარგათ ვიცი საით იყო
და სად არის ეხლა ბინათ!..
იმედი მაქვს ყველა ამას
დააფასებს ჩვენი კრება,

*) ნამარნევი მონასტრის სახელია, სადაც რეაქციონერები თავს აფარებდენ 1905 წ. ნ.

თორემ ჩემი ძმობილების
ნახვა მაინც მენატრება,
და ჩოლურში*) გადარება
ნუ გგონიათ მეზარება...
იქ მოვყვები ყოველივეს
რითაც მიწუხს თქვენგან გული,
თქვენს ღალატს და ორპირობას
რომ არა აქვს დასასრული...

კნეინა ნუ კნიაზო, ნუღარ ასმენ
მაგვარ სიტყვებს ამ ჩემს ყურებს,
გული მტკივა, ვეღარ უძლებ
უადგილო საყვედურებს!
ნუ თუ არვის შეხდომიხარ
ამ კრებისგან განახურებს
შენს შეცდომას ამ გზობისათ
ზეციერი ხომ უყურებს!
საჩივარზე იმედი, მაქვს,
გადიფიქრებ ისევ მალე,
დრო წინ არის, ცოტახანი
მოითმინე დაგვაცალე,
და რაც გნებავს თუ არ მოხდეს
მაშინ ყური ჩამათალე!
აზნაურის სიტყაც მომწონს
კიდევ უფრო მისი ჭკუა,
კარგათ ვიცი რასაც ამბობს
მართალია, არა სტყუა,
დიდათ ვმადლობ მეწვრიმალის
ჩვენთან ყოფა რომ იხუა
რა ხელი აქვს აქ ბიჭიას
ანაქებ თავადების შუა?

მეორე აზნაური: ბატონებო, ჩაუფიქრდით
აჩქარება ცუდი არი,
დიდათ მიკვირს რათ ბრძანდებით
ბიჭიაზედ ნაწყენარი
ღმერთმა ბევრი შეგახვედროს
მაგისთანმ მეგობარი,
რა საქმეზედ მიუთითებთ
სავარგისი რომ არ არის?
ჩვენი მტრების საცარცვავათ
და გვაჯობებს ყველას მაგი,
დღემდეც ვალად ბევრი გვადევს
მაგის ნაშრომ ნაამაგი,
მაგას ნურვინ აწყენინებთ
ვისაც გინდათ თავის შველა:
„ზევით“ საქმე კარგათა აქვს
და თუ ვინმე წაიშველა,
დაანანებს ვიცი ყველას
ვინც აქ ენა დაიგრძელა!..

—

დიდხანს იყო დაუშლელი
ამ ბრწყინვალე პირთა კრება,
ძვირად ღირდა სანახავათ
იმ დროს მათი გაჯიბრება,
მაგრაა ბოლოს აიშალენ
აირია მონასტერი,
ოთხსავ კუთხით აპრიალდა,
მოიმართა ხანჯლის წვერი,
ბიჭია კი სტოლქვეშ შეძვრა
დაეკარგა საწყალს ფერი,
კნეინამაც სულის ხსნაზე
ლოცვა იწყო როგორც ბერი!..

ნაცნობი.

—

ყვირილა. ჩვენისთანა ბედნიერ ხალხს ბევრს ვერ შეხვდებით: წარმოიდგინეთ ორი კლუბა გვაქვს არისტოკრატიული და დემოკრატიული.

ფაუსტი.

—

სვირი. მაკვირვებს ჩვენი ვარამი
დღემდე რატომ არ თქვესაო;
სიმინდი სულ არ გვივარგა,
(პურის არ ვიცი თესვაო)
ვენახი ყინვამ დაგვიზრო
თავათ აღდგომა დღესაო,
მოდი ახლა და გაუშელ
ჩვენს გაუმაძღარ ღვდლებსაო

ორ.სოფელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

პასუხათ მოსწავლე შუტუ საბაშვილს.

„მათრახ-სალამურის“ მე № 15-ით მიწევგთ სამედიტორო სამართალში მე 11 № ში მოთავსებული წერილის გამო, უნდა მოგახსენოთ რომ ჩვენ წერილში იყო „ოშუტუ“ უჩენიკი, ასოთ ამწყობებს „ჩუტუთ“ აეწყოთ, თქვენ „შუტუ“ გვქონებია. კეთილი იყოს თქვენი კეთილობა! რაკი თქვენი თავი იცანით შეურცხეოფილათ, ებეტ კარგია: „დიდი ნაწია კაცისა ცნობა თავისა თავისა“ ინებეთ, მზათ ვართ ჩვენის მხრით მედიტორეთ იქნება ამ. ჭრკულესი, მეორესაც ის აირჩევს. თუ ერთს არ დასჯერდებით და ჩვენის მხრიე ეოველ გვარ პასუხის გებასაც მოწმეთა დასახელებას და სხვას მასვე ვანდობთ.

«უტუ»

P. S. თუ სხვასაც გინშეს ბარი ეწვის შეუძლია თქვენთან ერთად ამგვარათვე დაეკმაყოფილდონ თვით მოყვარეობის ჯმდიდი სადერდელი, ესე იგი შეუძლიათ თქვენთან ერთად შეოახმაენ მედიტორეთა არჩევნებში ჩვენის მხრით კი ისევ ის დარჩება.

უტუ?!

—

პასუხათ ბ ნ კასიოს. რა კაეწეობა, თანხმა ვარ თქვენ უკანასკნელ წინადადებაზე (მათ. № 15-ამ) მხოლოთ მედიტორეს ორის ნაცვლათ ვასახელებ ერთს და თქვენც კაძლევთ წინადადებას აირჩიოთ ერთი ჩემის მხრით იქნება ამ, ჭანჭათელი. განაჩენი უნდა კამოცხადდეს გაზეთში.

მელიტონ დოლიძე.

---

*) ჩოლური სოფელია სვანეთში რომელშიდაც ცხოვრებენ თავადი გარდაფხაძეები. ნ.

ელექტროშბეჭდავი ამხ. „ზრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტერაბელიძე.